

ნარკოტიკების საინფორმაციო
სისტემის 2022-2025 წლების
ეროვნული სამოქმედო გეგმა

სარჩევი

შესავალი	4
ნარკოტიკების საინფორმაციო სისტემის წინაპირობები საქართველოში	5
ზოგადი ეროვნული და საერთაშორისო კონტექსტი	5
სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო	5
სამართლებრივი ჩარჩო.....	6
ნარკოპოლიტიკის კოორდინაცია	6
კვლევითი შესაძლებლობები და პროფესიული და სამოქალაქო საზოგადოებრივი ასოციაციები.....	7
ანტინარკოტიკული სტრატეგია და სამოქმედო გეგმები	8
ქვეყანაში არსებული ნარკოვითარება	8
ნარკოტიკების მოხმარების გავრცელება ზოგად მოსახლეობასა და ახალგაზრდებში	8
ნარკოტიკების მაღალი რისკის მოხმარება	9
ნარკოტიკების მოხმარება რეკრეაციულ გარემოში.....	10
ზედღობრება და ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილი	10
ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინფექციური დაავადებები.....	11
ზიანის შემცირების პროგრამები.....	11
მკურნალობაზე მოთხოვნა.....	12
ნარკოტიკებით ვაჭრობა და ნარკოდანაშაული	12
საქართველოში არსებული ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემა	14
ორგანიზება და კოორდინაცია.....	14
საერთაშორისო თანამშრომლობა ნარკოვითარების მონიტორინგის მიმართულებით	14
ნარკოვითარების თაობაზე ქვეყანაში არსებული და ხელმისაწვდომი საინფორმაციო წყაროები	15
ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემის SWOT ანალიზი.....	20
ძლიერი მხარეები.....	20
სუსტი მხარეები	20
შესაძლებლობები	21
გამოწვევები.....	21
NAPDIS პრიორიტეტები	21
NAPDIS მოსალოდნელი შედეგები	22
სამოქმედო გეგმა ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემის უკეთ ფუნქციონირებისა და კოორდინაციისთვის	22
სამოქმედო გეგმა მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის.....	23
ნარკოტიკების მოხმარება ზოგად მოსახლეობაში (ქვე-პოპულაციები, მათ შორის, ახალგაზრდები).....	23

ნარკოტიკების მაღალი რისკის მოხმარება.....	24
ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინფექციური და სხვა დაავადებები	24
ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილი და სიკვდილობა	25
მკურნალობაზე მოთხოვნა და სხვა სერვისები ნარკოტიკების მომხმარებლებისთვის	25
სამართალდამცავი ორგანოების მონაცემები (ნარკობაზარი, ამოღება, ფასი, ნარკოტიკების სინთინდე, ნარკოდანაშაული)	26
სხვა კვლევები, საინფორმაციო სისტემები და წყაროები.....	26
ინფორმაციის გავრცელებისა და ანგარიშგების აქტივობების დაგეგმვა	27
ინფორმაციის გამოქვეყნება და გავრცელება ინტერნეტში.....	27

ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემა (DIS) (შემდგომში - „საინფორმაციო სისტემა“) წარმოადგენს ქვეყანაში არსებული ნარკოვითარების მონიტორინგის კომპლექსურ ინსტრუმენტს. ნარკოვითარების მონიტორინგი თანამედროვე ნარკოპოლიტიკის განუყოფელი და არსებითი ნაწილია. იგი უზრუნველყოფს ნარკოვითარების შესახებ ფაქტობრივი, ობიექტური, სარწმუნო და შედარებითი ინფორმაციის შეგროვებას სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე და აღწერს ნარკოვითარებას პოლისტური მიდგომით. ევროპის დონეზე, სისტემას კოორდინაციას უწევს ევროკავშირის სააგენტო, ევროპის ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულების მონიტორინგის ცენტრი (EMCDDA). საინფორმაციო სისტემის მიზანია მონაცემების შეგროვება, ანალიზი, სინთეზი და ინტერპრეტირება, აგრეთვე, ინფორმაციის გავრცელება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. გამოყენებული მეთოდებისა და კონცეფციების თავლსაზრისით, საინფორმაციო სისტემა უნდა დაეყრდნოს მონაცემთა შეგროვების საერთაშორისო სტანდარტებს, განსაკუთრებით ნარკოტიკების ხუთ ძირითად ეპიდემიოლოგიურ ინდიკატორს (5 KIs)¹, რომელიც შემუშავებულია EMCDDA-ს მიერ. ასევე, საინფორმაციო სისტემამ უნდა გამოიყენოს და გააერთიანოს სხვადასხვა მეთოდები და მონაცემთა წყაროები, რომლებიც ხელმისაწვდომია აღნიშნულ სფეროში მოქმედი ყველა დაწესებულებისა და პარტნიორის მხრიდან.

საინფორმაციო სისტემის ფარგლებში შეგროვებული და გავრცელებული ინფორმაცია ხელს უწყობს სიტუაციის უკეთ გაგებას ნარკოტიკებით ვაჭრობისა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ნარკოტიკების მოხმარების ზეგავლენასთან, შედეგებთან და ზოგადად ნარკოტიკების ფენომენთან დაკავშირებით. შესაბამისად, მეტი ინფორმირებულობა განაპირობებს, ერთი მხრივ, ნარკოპოლიტიკის და ნარკოსტრატეგიის გაუმჯობესებას შეგროვებული მტკიცებულებების საფუძველზე და, მეორე მხრივ, ნარკოპოლიტიკის უკეთ შეფასებას, როგორც ლოკალურ, ასევე - სახელმწიფო დონეზე.

სახელმწიფო დონეზე, საინფორმაციო სისტემის მუშაობის კოორდინაციას ახდენს ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი (შემდგომში - „მონიტორინგის ცენტრი“), მის ქსელ(ებ)თან ერთად, რომლებიც აგროვებენ, ანალიზებენ და ამზადებენ ანგარიშებს ქვეყანაში არსებული ნარკოვითარების შესახებ. საინფორმაციო სისტემის ფარგლებში მიღებული მონაცემების ხარისხი და ხელმისაწვდომობა ყოველთვის უნდა შეფასდეს. აღნიშნული მიზნით, მონიტორინგის ცენტრმა მოტივაცია უნდა მისცეს მონაცემთა მფლობელ და ინფორმაციის პოტენციურ მომწოდებელ ინსტიტუციებს, ასევე, პარტნიორებს, რათა ითანამშრომლონ სისტემასთან და მიაწოდონ სათანადო ხარისხის მონაცემები, განსაკუთრებით იმ სფეროებში, სადაც მონაცემები რუტინულად და სტატისტიკურად არ გროვდება ან შეგროვებული მონაცემები არასრულია. ევროპაში, ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრები ერთიანდებიან ევროპის ნარკოტიკებისა და

¹ „EMCDDA“-ის ხუთი ძირითადი ინდიკატორია: (1) ზოგად მოსახლეობაში ნარკოტიკების მოხმარების მასასიათებლები და გავრცელება (ზოგადი და სკოლის პოპულაციის კვლევები); (2) პრობლემური ნარკომომხმარებლის მასასიათებლები და გავრცელება (გავრცელების/სიხშირის სტატისტიკური შეფასებები და კვლევები ნარკოტიკების მოხმარებლებში); (3) ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინფექციური დაავადებები (აივ ინფექციის, B და C ჰეპატიტების გავრცელებისა და სიხშირის კოორდინირებული ნარკოტიკების ინექციური მოხმარებლების შორის); (4) ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილი და სიკვდილობა (სტატისტიკური მონაცემები ზოგადი მოსახლეობის გარდაცვალების სპეციალური რეესტრებიდან, სიკვდილობის კოპორტული კვლევები ნარკომომხმარებლებში); (5) მკურნალობაზე მოთხოვნა, სამკურნალო დაწესებულებების სტატისტიკური მონაცემები ბენეფიციარების შესახებ, რომლებმაც დაიწყეს მკურნალობა). იხ. დამატებით ინფორმაცია ბმულზე: <http://www.emcdda.europa.eu/themes/key-indicators>.

წამალდამოკიდებულების საინფორმაციო ქსელში (REITOX)², რომელთაც კოორდინაციას უწევს EMCDDA-ი.³

ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემის ეროვნული სამოქმედო გეგმა (NAPDIS) წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც გამოიყენება საინფორმაციო სისტემის გასაუმჯობესებლად მიმართული საშუალებების აღწერისთვის, შეფასებისა და დაგეგმვისთვის; ასევე, ნარკოვითარების შესახებ ეროვნულ დონეზე არსებული ინფორმაციის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

საინფორმაციო სისტემის ეროვნული სამოქმედო გეგმა წარმოადგენს პირველ კომპლექსურ დოკუმენტს, რათა აღიწეროს, განისაზღვროს და დაიგეგმოს ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემა საქართველოში.

ნარკოტიკების საინფორმაციო სისტემის წინაპირობები საქართველოში

ზოგადი ეროვნული და საერთაშორისო კონტექსტი

საქართველოში არსებული ნარკოვითარება, მუხედავად იმისა, რომ ლოკალურობით ხასიათდება, ასახავს უამრავ გლობალურ ტენდენციასა და გამოწვევას, რაც წამალდამოკიდებულების ფენომენს უფრო კომპლექსურს ხდის. საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების ადგილობრივი წარმოება განკუთვნილია შიდა მოხმარებისთვის და შემოიფარგლება კანაფის მცირემასშტაბიანი წარმოებით, ეფედრინის მედიკამენტებიდან (ე.წ. „ვინტი“) ან ეფედრას მცენარიდან (ე.წ. „წიწვის ვინტი“) სტიმულატორების კუსტარული წარმოებით ან კოდეინის მედიკამენტებიდან ოპიოიდების კუსტარული დამზადებით. ერთი მხრივ, კვლავ აქტუალურია „ძველი“ პრობლემები, ფართოდ გავრცელებული ტრადიციული ოპიოიდების და კუსტარულად დამზადებული სტიმულატორების ინექციურად მოხმარება, რაც წარმოშობს ინფექციების, ზედოზირების, სოციალური გარიყულობის, ეკონომიკური წნეხისა და სამართლებრივი შედეგების რისკებს. მეორე მხრივ, ახალგაზრდებში გავრცელდა რეკრეაციულ გარემოში (კლუბი, გასართობი წვეულებები) ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, კერძოდ, კანაფი, ექსტაზი ან სხვა სტიმულატორების ჯგუფის ნარკოტიკული საშუალებები, მათ შორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები. აგრეთვე, ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფების მიერ კონტროლირებული ტრადიციული მარშრუტების გარდა, ნარკოტიკების მიწოდება მზარდი ტენდენციით ხასიათდება ახალი საშუალებებით, როგორიცაა ინტერნეტი, დარჩენეტი, მცირე საფოსტო გზავნილები და ამანათები.

საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემის როლს, როგორც ინფორმირებული, დაბალანსებული და ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული ნარკოპოლიტიკის საფუძველს, რომელიც მტკიცებულებებს, მონიტორინგსა და კვლევას უნდა ემყარებოდეს.

სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო

²აბრევიატურა „REITOX“ მომდინარეობს ფრანგული დასახელებიდან 'Réseau Européen d'Information sur les Drogues et les Toxicomanies' (ევროპის ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულების საინფორმაციო ქსელი).

³ https://www.emcdda.europa.eu/about/partners/reitox_en

სამართლებრივი ჩარჩო

საქართველოს კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ არეგულირებს ნარკოტიკების გავრცელებასთან დაკავშირებულ საკითხებს, განსაზღვრავს ნარკოპოლიტიკის სამართლებრივ ჩარჩოს და ნარკოლოგიური დახმარების პრინციპებს. აგრეთვე, საქართველოს კანონი „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ხელს უწყობს ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, ნარკოტიკების გავრცელების თავიდან აცილებას და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების და გავრცელების პრევენციას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და სისხლის სამართლის კოდექსი აწესებენ და განსაზღვრავენ პასუხისმგებლობის ზომებს ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი სამართალდარღვევებისთვის. გარდა ამისა, კანონი „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ მიღებულია 2014 წელს ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების პრევენციის, უკანონო ბრუნვის აღკვეთისა და შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების კოორდინირებული მუშაობის მიზნით. 2015-2020 წლებში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები ნარკოტიკების პირადი მოხმარების მიზნით ფლობის და მოხმარების დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით.

ნარკოპოლიტიკის კოორდინაცია

2011 წელს შეიქმნა ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში - „საბჭო“). საბჭოს თავმჯდომარეობს იუსტიციის მინისტრი და შედგება თემატური სამთავრობო უწყებების, უზენაესი სასამართლოსა და პარლამენტის წარმომადგენლებისა და საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოწვეული წარმომადგენლებისაგან. საბჭო პასუხისმგებელია ნარკოტიკებთან დაკავშირებული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და დამტკიცებაზე და ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკის ფორმირებასა და საქმიანობის კოორდინაციაზე. საბჭოს ფარგლებში პერიოდულად იქმნება და ფუნქციონირებს თემატური სამუშაო ჯგუფები, რომლებიც შედგება სამთავრობო უწყებების, სამოქალაქო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სპეციალისტებისგან, მათ შორის, თემატური საჭიროებიდან გამომდინარე, სამუშაო ჯგუფების შეხვედრებზე მოიწვევიან ნარკოლოგები, ადიქტოლოგები, ზიანის შემცირების ექსპერტები და სხვა. აღნიშნული სამუშაო ჯგუფების სამუშაო ფორმატი ძირითად შემთხვევაში კონკრეტულ თემატურ საკითხებთან დაკავშირებული და მუდმივმოქმედი ჯგუფების ხასიათი არ აქვს.

ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისია წარმოადგენს კიდევ ერთ საკოორდინაციო მექანიზმს, რომელიც შექმნილია ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოვლენისა და მოხმარებასთან გამკლავების მიზნით. კომისია შეიქმნა „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 6) და სამი მინისტრის ერთობლივი ბრძანების საფუძველზე.⁴ კომისიის წევრთა შემადგენლობაში შედიან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები. საჭიროების შემთხვევაში კომისია იწვევს ექსპერტებს.

2013 წლიდან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროების

⁴ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 13 მაისის ერთობლივი ბრძანება №344/№01-30/ნ/№147

მიერ ხელმოწერილი მემორანდუმის საფუძველზე ფუნქციონირებს ფარმაცევტული ბაზრის კონტროლის სამუშაო ჯგუფი, რომელიც, ასევე, არის მაკოორდინირებელი მექანიზმი, რომელიც სახელმწიფო დონეზე ფუნქციონირებს.

კვლევითი შესაძლებლობები და პროფესიული და სამოქალაქო საზოგადოებრივი ასოციაციები

დამოკიდებულების კვლევითი ცენტრის „ალტერნატივა ჯორჯია“ მიერ ქვეყანაში ხორციელდება არაერთი კვლევითი პროექტი, მათ შორის 2015 წელს ჩატარდა ზოგადი მოსახლეობის კვლევა (GPS), ნარკოტიკების ინექციურად მომხმარებლებსა და რეკრეაციული მიზნით, მომხმარებლებში ჩატარებული კვლევები და სხვა. აგრეთვე, ორგანიზაცია ახორციელებს საგანმანათლებლო და პოლიტიკის ხელშეწყობ აქტივობებს,⁵ ხელს უწყობს ნარკოვითარების მონიტორინგისა და ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემის შექმნას საქართველოში, აწარმოებდა ყოველწლიურ ანგარიშებს ქვეყანაში არსებული ნარკოვითარების შესახებ პარტნიორ ინსტიტუციასთან ერთად, როგორიცაა „გლობალური ინიციატივა საქართველოში“, „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ადიქტოლოგიის ინსტიტუტი“ (უკანასკნელად ასეთი ანგარიში 2018 წელს მომზადდა ორგანიზაციის მიერ).

2013 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ტომაშ ზაბრანსკის სახელობის ადიქტოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანური რესურსის შესაძლებლობების გაძლიერებას და ცოდნის ამაღლებას, შემდგომში მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების დასაწერად საჭირო ნარკოპოლიტიკის ხელშეწყობისთვის; ასევე, წამლადამოკიდებულების სფეროში მომუშავე პროფესიონალების განათლების, წამლადამოკიდებულების კვლევებისა და საქართველოში არსებული ნარკოვითარების მონიტორინგის სტიმულირებას. ინსტიტუტმა დააფუძნა ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამა.⁶

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი (GHRN) აერთიანებს ზიანის შემცირების პროგრამების განმახორციელებელ ორგანიზაციებს 11 რეგიონში (თბილისი, თელავი, გორი, რუსთავი, ქუთაისი, სამტრედია, ოზურგეთი, ზუგდიდი, ფოთი, ბათუმი, სოხუმი). ნარკოტიკების მომხმარებლებისთვის, მათ შორის, ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფენ ისეთ სერვისებს, როგორიცაა, თანასწორი-თანასწორს პრინციპზე დაფუძნებული ინტერვენციები (Peer-driven interventions), ცნობიერების ამაღლება ნარკოტიკების მოხმარების რისკებთან დაკავშირებით, ნემსებისა და შპრიცების გაცვლის პროგრამა (NSP), ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირების პროგრამა (სკრინინგი აივ-ზე, B და C ჰეპატიტებზე, სიფილისისა და ტუბერკულოზზე) და სხვა. ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი აქტიურად არის ჩართული ნარკოპოლიტიკასთან და ნარკოვითარების მონიტორინგთან დაკავშირებულ პროცესებში.

ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი“ წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის პროგრამებს და ხელს უწყობს ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას ნარკოტიკების მომხმარებლებს შორის.

⁵ <https://altgeorgia.ge/>

⁶ <https://iliauni.edu.ge/en/iliauni/institutebi-451/adiqtologiis-instituti>

ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელი წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელიც ემსახურება ნარკოტიკების მომხმარებელთა შორის ცნობიერების ამაღლებას, მათი უფლებების დაცვას, ადვოკატირების კამპანიების ჩატარებას და ნარკოტიკებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ხელშეწყობას.

ანტინარკოტიკული სტრატეგია და სამოქმედო გეგმები

პირველი ეროვნული (ანტი)ნარკოტიკული სტრატეგია დამტკიცდა 2013 წელს და ეყრდნობა ნარკოპოლიტიკის ოთხ სვეტოვან მიდგომას (პრევენცია, მკურნალობა/რეაბილიტაცია, ზიანის შემცირება და მიწოდების შემცირება). მიმდინარე სამოქმედო გეგმა 2021-2022 პერიოდისთვის მოიცავს ნარკოპოლიტიკის ყველა რელევანტურ სფეროს და პასუხობს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე არსებულ გამოწვევებს. სტრატეგიული დოკუმენტები მიზნად ისახავს ეროვნულ დონეზე დანაშაულის პრევენციის ზომების შემუშავებას, სათანადო სამკურნალო და სარეაბილიტაციო პროგრამების უზრუნველყოფას ნარკოტიკების მომხმარებლებისთვის, მოთხოვნის, მიწოდებისა და ზიანის შემცირებას. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმის მე-8 თავი „მონაცემთა შეგროვება და ანალიზი“ მოიცავს შემდგომ პუნქტებს:

- 8.1 ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის შესაძლებლობათა გაძლიერება;
- 8.2 ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის გამართული ფუნქციონირება;
- 8.3 ნარკოვიტარების მონიტორინგისთვის საჭირო კვლევების განხორციელება.

სამოქმედო გეგმა, აგრეთვე, მოიცავს აქტივობებს ნარკოვიტარების მონიტორინგთან დაკავშირებით და ითვალისწინებს ნარკოვიტარების საინფორმაციო სისტემის სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

2021 წლის თებერვალში, ანტინარკოტიკული საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა ნარკოტიკების ავადმოსხმარების პრევენციის ეროვნული სტრატეგია 2021-2026, რომელიც მიზანმიმართულია, ქვეყანაში შეამციროს ლეგალური და არალეგალური ფსიქოაქტიური საშუალებების არასამედიცინო მიზნით მოხმარების გავრცელება, ხელი შეუწყოს ქვეყანაში სხვადასხვა დონეზე არსებული/მოქმედი შესაბამისი რისკის ფაქტორების შემცირებასა და დამცავი ფაქტორების გაზრდა/განვითარებას. 2021-2026 წლების სტრატეგიის იმპლემენტაციის მიზნით მომზადდა 2022-2023 წლების ნარკოტიკების ავადმოსხმარების სამოქმედო გეგმა, რომელიც სტრატეგიის ლოგიკურ ჩარჩოს ასახავს და პრევენციის მიმართულებით საჭირო თემატურ ღონისძიებებს მოიცავს.

ქვეყანაში არსებული ნარკოვიტარება

ნარკოტიკების მოხმარების გავრცელება ზოგად მოსახლეობასა და ახალგაზრდებში

2015 წელს საქართველოში ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების გავრცელების შესწავლის მიზნით ჩატარდა ზოგადი მოსახლეობის კვლევა (GPS). თუმცა, შედეგები მოძველებულია, ვინაიდან 2015 წლის შემდგომ, ზოგადი მოსახლეობის კვლევა (GPS) ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებაზე განმეორებით აღარ ჩატარებულა საქართველოში.

2019 წელს 16 წლის სკოლის მოსწავლეებს შორის ჩატარდა ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სასკოლო კვლევა (ESPAD), რომლის მიხედვით, ცხოვრების მანძილზე ერთხელ მაინც მოიხმარა კანაფი მოსწავლეების 14%-მა (23% ბიჭი, 7% გოგონა), ინჰალანტები 5.0%-მა, ექსტაზი 2.2%-მა, LSD 1.9%-მა, კოკაინი 1.3%-მა და ამფეტამინი 1%-მა, რაც შეესაბამება ევროპის საშუალო

მაჩვენებლებს (ESPAD ჯგუფი, 2020). კანაფის ხელმისაწვდომობის აღქმა გაზრდილია (25%) 2015 წელთან შედარებით (21%), თუმცა შემცირებულია სხვა ნარკოტიკულ საშუალებებთან მიმართებით (ამფეტამინი, მეთამფეტამინი და ექსტაზი). მოსწავლეებში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების სიცოცხლის (LTP) და ბოლო ერთი წლის განმავლობაში მოხმარების (LYP) მაჩვენებელი შეადგენდა 2.8%-ს (4.6% ბიჭი, 1.2% გოგონა) და 1.8%-ს (3.0% ბიჭი, 0.8% გოგონა). რესპოდენტების 36%-მა (46% ბიჭი, 27% გოგონა) განაცხადა, რომ სიცოცხლის მანძილზე სულ მცირე ერთხელ მაინც გაუსინჯავს თამბაქო. უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში (LMP) თამბაქოს მოხმარების მაჩვენებელი იყო 12% (2015 წლის მაჩვენებელთან (18%) შედარებით დაკლებული), ხოლო მოსწავლეების 7%-მა განაცხადა, რომ რეგულარული მწვევლია. რესპოდენტების 33%-მა აღნიშნა, რომ ცხოვრების მანძილზე სულ მცირე ერთხელ მაინც გაუსინჯავს ელექტრონული სიგარეტი (43% ბიჭი, 25% გოგონა), რაც 2015 წელთან (13%) შედარებით მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებელია; რესპოდენტების 7%-მა აღნიშნა, რომ უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ მაინც გამოუყენებია ელექტრონული სიგარეტი. რესპოდენტების 75%-მა აღნიშნა, რომ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ მაინც მიუღია ალკოჰოლი (78% ბიჭი, 72% გოგონა). უკანასკნელი ერთი თვის მანძილზე ალკოჰოლის მოხმარების მაჩვენებელი იყო 46% (ლუდი და ღვინო წარმოადგენს ყველაზე ხშირი მოხმარების ალკოჰოლურ სასმელებს). უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ალკოჰოლით ინტოქსიკაცია დააფიქსირა რესპოდენტების 28%-მა (30% ბიჭი, 27% გოგონა), ხოლო უკანასკნელი ერთი თვის მანძილზე რესპოდენტების 15%-მა (16% ბიჭი, 15% გოგონა) (ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, 2021).

ნარკოტიკების მაღალი რისკის მოხმარება

2016 წელს საქართველოში ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების თაობაზე კვლევის მონაცემი საჭიროებს განახლებას, ვინაიდან აღნიშნული მაჩვენებლები მოძველებულია და ექსპერტთა მოსაზრებით არ შეესაბამება დღევანდელ სიტუაციას.

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე, ნარკოტიკების პრობლემური/მაღალი რისკის მომხმარება ქვეყანაში შესაძლებელია დავახასიათოთ, როგორც ოპიოიდური პროდუქტების პოლინარკომანია, როგორცაა, მაგალითად, ჰეროინი და ბუპრენორფინი, გარდა ამისა, მნიშვნელოვანი წილი მოდის კუსტარულად დამზადებულ სტიმულატორებზე (თუმცა, უკანასკნელ წლებში მათი წილი შემცირებულია), რომლებიც მოიცავს ეფედრას მცენარიდან მეთ/ამფეტამინის კუსტარულ ექსტრაქციასა და ინექციას (ოთიაშვილი და სხვანი, 2017). თუმცა, უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები აჩვენებს ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებს შორის კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შემცირებას და მზა ოპიოიდებისა და სტიმულატორების, მათ შორის ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების პროპორციის ზრდას (ბესელია და სხვანი, 2019ა). ხშირად, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები გამოიყენება რეგულარულად მოხმარებულ საინექციო ნარკოტიკებზე დამატების მიზნით.

2019 წელს ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის მიერ ჩატარდა კვლევა, რომელშიც მონაწილეობდა ზიანის შემცირების პროგრამების 1 820 ბენეფიციარი (93% მამაკაცი, 7% ქალი), მამაკაცებში საშუალო ასაკი იყო 35.3 წელი, ხოლო ქალების 34.9 წელი. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ნარკოტიკების რეგულარული ინექციის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 9 წელს (მინიმუმ 0 და მაქსიმუმ 40). უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში ნარკოტიკების ინექციის საშუალო მაჩვენებელია 13.8 დღე, ხოლო ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკს ჰეროინი (რესპოდენტთა 55%) წარმოადგენდა, რომელსაც მოჰყვება ქუჩის ბუპრენორფინი (36%), ეფედრას მცენარიდან კუსტარულად დამზადებული მეთ/ამფეტამინი („წინვის ვინტი“, 23%) და (ფსევდო) ეფედრინის („ვინტი“, 13%) შემცველი მედიკამენტებიდან კუსტარულად დამზადებული მეთ/ამფეტამინი (ნარკოვითარების

მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, 2021).

2019 წელს შპრიცებისა და ნემსების პროგრამის ბენეფიციარების ქცევის შეფასების მიზნით ჩატარდა ჯვარედინ-სექციური კვლევა. შეგროვდა ინფორმაცია ზიანის შემცირების 11 სერვის ცენტრიდან საქართველოს 11 ქალაქში (თბილისი, თელავი, გორი, რუსთავი, ქუთაისი, სამტრედია, ოზურგეთი, ზუგდიდი, ფოთი, ბათუმი, ბორჯომი), კვლევაში სულ მონაწილეობა მიიღო 987 რესპონდენტმა. უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში ყველაზე ხშირად გამოყენებული ნარკოტიკული საშუალება აღმოჩნდა ჰეროინი (რესპონდენტების 58.3%), ბუპრენორფინი (34.2%) და კუსტარულად დამზადებული ეფედრა (32.3%). რაც შეეხება არა-საინექციო ნარკოტიკულ საშუალებებს, რესპონდენტების 62.6% მოიხმარდა კანაფს. უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში რესპონდენტების მიერ ნარკოტიკების ინექციური მოხმარების დღეების საშუალო რაოდენობა შეადგენდა 17.8 დღეს (ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, 2021).

ნარკოტიკების მოხმარება რეკრეაციულ გარემოში

ფსიქოაქტიური ნივთიერებების რეკრეაციულ (ლამის ცხოვრების) გარემოში მოხმარება წარმოადგენს ახლად აღმოცენებულ ფენომენს საქართველოში. 2019 წელს ჩატარდა თვისებრივი კვლევა თბილისის ლამის კლუბების ვიზიტორთა შორის ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებლების ქცევითი თავისებურებების შესასწავლად. ელექტრონული მუსიკალური (EDM) ღონისძიებების დამსწრეთა დაახლოებით ორმა მესამედმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ მაინც მიიღო ნარკოტიკული საშუალება. მათ უმრავლესობას ჰქონდა ორი ან მეტი ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამოცდილება, რომელთაგან ყველაზე გავრცელებული იყო: MDMA/ექსტაზი, კანაფი, სინთეტიკური კანაბინოიდები, ამფეტამინები და კეტამინი (Beselia et al., 2019b, Otiashvili et al., 2020). უმრავლესობამ აღნიშნა ნარკოტიკების ალკოჰოლთან ერთად მოხმარების გამოცდილება. ხშირ შემთხვევაში, მომხმარებლებმა არ იცოდნენ, თუ რა ნივთიერებას მოიხმარდნენ და სრულიად ენდობოდნენ სხვების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგების განზოგადება ვერ მოხდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, შეზღუდული გეოგრაფიული არეალის (მხოლოდ თბილისი) და შერჩეული ჯგუფის მცირე მოცულობის გამო.

ზედოზირება და ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილი

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მონაცემების მიხედვით, 40 ადამიანი გარდაიცვალა ნარკოტიკული ინტოქსიკაციით (ყველა მათგანი იყო მამაკაცი, 75% 30-49 წლის ასაკობრივი კატეგორიიდან) 2019 წელს (41 გარდაცვალების ფაქტი 2018 წელს). აღნიშნული მონაცემი 4-ჯერ უფრო მაღალია წინა წლებთან შედარებით (5 – 2015 წელს, 10 – 2016 წელს, 11 – 2017 წელს). საქართველოში ნარკოტიკებთან დაკავშირებულ სიკვდილსა და სიკვდილობაზე ინფორმაციის შეგროვებისას ადგილი აქვს მეთოდოლოგიურ შეზღუდვებსა და ხარისხობრივ პრობლემებს.

2019 წელს ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელ რესპონდენტთა 6.3%-მა აღნიშნა ზედოზირების სულ მცირე ერთი შემთხვევა უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში. ზედოზირების მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით რესპონდენტთა 42%-მა (რომელთაც ზედოზირება აღენიშნებოდათ) აღნიშნა ნალოქსონის გამოყენება (ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, 2021).

2019 წელს შპრიცებისა და ნემსების პროგრამის ბენეფიციარების ქცევის შეფასების კვლევაში, ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა 3.5%-მა აღნიშნა ზედოზირების სულ მცირე ერთი ფაქტი უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში, უმეტეს შემთხვევაში ზედოზირება გამოწვეული იყო ჰეროინის მოხმარებით, ან მისი შერევით ალკოჰოლთან ან სხვა ნარკოტიკულ

საშუალებასთან. (ნარკოვითარების მონიტორინგი ეროვნული ცენტრი, 2021).

ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინფექციური დაავადებები

2019 წლისთვის, აივ ინფექციის რეგისტრირებული შემთხვევების საერთო რაოდენობა შეადგენდა 8 102-ს, მათგან 668 იყო ახალი შემთხვევა (ინციდენტობა), რომელთაგან 17.1%-ში ინფიცირების წყაროდ დაფიქსირდა ნარკოტიკების ინექციური მოხმარება. რაც შეეხება ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებს შორის აივ ინფექციის სეროპრევალენტობას, 2019 წელს 27 026 ნიმ⁷-ს ჩაუტარდა ტესტირება აივ ინფექციაზე, მათგან სკრინინგით დადასტურდა 50 (0.2%), ხოლო კონფირმაციულად აივ ინფექცია დაუდასტურდა 31-ს (0.1%). ქვეყანაში აივ ინფექციის მკურნალობა უფასო და საყოველთაოდ ხელმისაწვდომია (ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, 2021).

საქართველო ითვლება C ჰეპატიტის მაღალი გავრცელების ქვეყანად. 2015 წლიდან ქვეყანაში მიმდინარეობს C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამა. 2020 წლის თებერვლის მდგომარეობით, 2 130 030 ადამიანს (მთლიანი მოსახლეობის 57%) ჩაუტარდა ტესტი C ჰეპატიტზე, რომელთაგან 133 913-მა მიიღო დადებითი პასუხი (მთლიანი მოსახლეობის 6.29%). 2019 წელს C ჰეპატიტის 8 671 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა (სკრინინგით დადებითი). 2019 წლამდე, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 64 500-ზე მეტი ადამიანი ჩაერთო მკურნალობაში. 92%-მა სრულად გაიარა მკურნალობის კურსი, მათგან 98,7% განიკურნა და შეჩერებული ვირუსოლოგიური პასუხით (SVR) დაასრულა მკურნალობა. 2019 წელს ზიანის შემცირების საქართველოს ქსელმა ჩაატარა ჯამში 27 147 სწრაფი ტესტი C ჰეპატიტზე ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა შორის, მათგან 4 255 დადებითი პასუხი დაფიქსირდა (15.7%), ხოლო C ჰეპატიტი კონფირმაციულად დაუდასტურდა 729 ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელს (2.7%) (ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, 2021).

ზიანის შემცირების პროგრამები

გასული ათწლეულის მანძილზე, გაიზარდა ზიანის შემცირების პროგრამების მოცვა საქართველოში. 2019 წლისათვის აღნიშნული პროგრამები ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომია 14 დაბალზღვრბლოვან სერვის ცენტრში, რომლებიც მდებარეობს 13 ქალაქში, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ფუნქციონირებს 9 მობილური ამბულატორია. პროგრამები ხორციელდება ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის 10 სუბ. კონტრაქტორი ორგანიზაციის მიერ, რომლებმაც 2019 წელს მომსახურება გაუწიეს 35 811 ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელს და ნიმ-ების 2 551 პარტნიორს. სულ დარიგდა 3 964 930 შპრიცი და 13 059 ნალოქსონის ამპულა (ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, 2021). შპრიცების და ნემსების პროგრამა არ ხორციელდება პენიტენციურ დაწესებულებებში.

2019 წელს შპრიცებისა და ნემსების პროგრამების (NSPs) ბენეფიციარების ქცევის შეფასების კვლევაში, რესპოდენტების 96%-მა აღნიშნა შპრიცების და ნემსების პროგრამები, როგორც საინექციო აღჭურვილობის წყარო, ხოლო რესპოდენტების 92.3%-მა აღნიშნა, რომ ისინი ყოველთვის იყენებდნენ ახალ შპრიცს (ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, 2021). რაც შეეხება ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში ჩართვას, რესპოდენტების 69.2%-მა აღნიშნა, რომ ისინი არასდროს ყოფილან ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამებში (OST) ; რესპოდენტთა 11.8%-ი ჩართული იყო ორთ პროგრამებში კვლევის მიმდინარეობის დროს (ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, 2021).

⁷ ნიმ-ი - ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი

მკურნალობაზე მოთხოვნა

ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირებს სამკურნალო სერვისებს აწვდის 13 კლინიკა, მათ შორის 1 არის სახელმწიფო და 12 კერძო. 10 მათგანი უზრუნველყოფს აბსტინენციაზე ორიენტირებულ (დეტოქსიკაცია) მკურნალობას. 2019 წელს დაფიქსირდა აბსტინენციაზე ორიენტირებული მკურნალობის 2 298 ეპიზოდი (2 267 მამაკაცი, 31 ქალი), მათ შორის 1 561 სტაციონალური და 737 ამბულატორიული მკურნალობის ეპიზოდი.⁸ სამკურნალო ეპიზოდებს შორის ოპიოიდები წარმოადგენდნენ ძირითად ფსიქოაქტიურ ნივთიერებას 64.3%-ში, პოლინარკომანია (dg. F19) - 23.8%-ში, სტიმულატორები - 5.7%-ში, კანაფი - 3.1%-ში (ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, 2021).

საქართველოში ხელმისაწვდომია როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი ფსიქოსოციალური სარეაბილიტაციო პროგრამები, თუმცა სახელმწიფო აფინანსებს მხოლოდ მოკლევადიან ფსიქოსოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებს. სულ არსებობს სერვისის 6 მიმწოდებელი კლინიკა (1 სახელმწიფო და 5 კერძო). ზოგიერთი მათგანი უზრუნველყოფს ფსიქოსოციალურ მომსახურებას, დეტოქსიფიკაციის შემდგომ ინტენსიურ მოკლევადიან ფსიქოსამედიცინო რეაბილიტაციას (2 კვირა) და ხანგრძლივ ფსიქოსამედიცინო რეაბილიტაციას (6 თვე და მეტი).

2021 წლის მდგომარეობით, მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამებს ახორციელებს 22 სამედიცინო დაწესებულება⁹, რომლებსაც სრულად აფინანსებს სახელმწიფო, რაც შეეხება სუბოქსონით (ბუპრენორფინი + ნალოსქონი) ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამას, 3 დაწესებულებას აფინანსებს სახელმწიფო, ხოლო დანარჩენი 11 არის კერძო/კომერციული ტიპის. 2019 წელს დაფიქსირდა ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის 10 938 ეპიზოდი, მათგან მეთადონით მკურნალობის 7 369 ეპიზოდი (7 328 მამაკაცი, 41 ქალი) და სუბოქსონით მკურნალობის 3 569 ეპიზოდი (3 555 მამაკაცი და 14 ქალი). ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამები ხორციელდება საქართველოში არსებული 13 პენიტენციური დაწესებულებიდან 3-ში, მაგრამ მხოლოდ დეტოქსიფიკაციის ფორმით. 2019 წელს 927 პატიმარმა გაიარა ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპია (ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, 2021).

ნარკოტიკებით ვაჭრობა და ნარკოდანაშაული

საქართველოში ნარკოტიკების წარმოება ძირითადად დაკავშირებულია ეფედრინის შემცველი მედიკამენტებიდან (vint) ან ეფედრას მცენარიდან (conifer vint) სტიმულატორების, ხოლო კოდეინის შემცველი მედიკამენტებიდან ოპიოიდების კუსტარულ დამზადებასთან. ადგილი აქვს კანაფის არალეგალურ კულტივაციას, როგორც ენდემური (შიდა), ასევე ჰიბრიდული (გარე) სახეობების. 2019 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ამოღებულ იქნა 2 573 კგ კანაფის მცენარე, რაც გასულ წელს ამოღებულ რაოდენობას 2,5-ჯერ აღემატება. ამოღებული MDMA-ის ჯამური რაოდენობა არის 22,791 კგ (2018 წელთან შედარებით 18-ჯერ მაღალი მაჩვენებელი). 2019 წელს, ერთი მხრივ, გაიზარდა ამოღებული ბუპრენორფინის, მეთადონის, მეფედრონისა და ოქსიკოდონის რაოდენობა, თუმცა, მეორე მხრივ, შეინიშნება ამოღებული მორფინის, ტრამადოლის, კოდეინისა და ოპიუმის ყაყაჩოს რაოდენობის კლების ტენდენცია. 2019 წელს ასევე განხორციელდა 1,15 კგ კოკაინის კონფისკაცია. ამოღებული მეტ/ამფეტამინის სიწმინდის საშუალო მაჩვენებელი მერყეობს 70-80%-ს შორის, კოკაინის სიწმინდის საშუალო მაჩვენებელი არის 60%, ჰეროინის - 35%, კანაფის - 5% (ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, 2021).

8 აღნიშნული მონაცემები არ შეიცავს შემდეგი კლინიკების სტატისტიკურ ინფორმაციას: Kadutsei, ჰოსპიტალური სერვისი, ბათუმის სამედიცინო ცენტრი.

9 დაწესებულება - განიმარტება, როგორც კლინიკის ერთი ფილიალი/განყოფილება/კაბინეტი, აქედან გამომდინარე არის, რომ დაწესებულებების რაოდენობა აღემატება კლინიკების რაოდენობას, რომლებიც ახორციელებენ სერვისებს წამალდამოკიდებული პირებისთვის.

2019 წელს საქართველოში ნარკოდანაშაულისთვის 5 141 სისხლისსამართლებრივი დევნის და 6 922 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის შემთხვევა დაფიქსირდა. პოლიციის მიერ სულ 10 518 ადამიანი შემოწმდა ნარკოტიკულ საშუალებებზე (6-ჯერ ნაკლები 2013 წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით), მათგან 64% აღმოჩნდა დადებითი (ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, 2021).

ორგანიზება და კოორდინაცია

2020 წლის 16 იანვარს საქართველოს იუსტიციის მინისტრის #494 ბრძანებით დაფუძნდა ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი. მონიტორინგის ცენტრი პასუხისმგებელია ქვეყანაში ნარკოვითარების მონიტორინგზე და სანდო და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიების, EMCDDA-ს საკვანძო ინდიკატორების დანერგვასა და თემატური ანგარიშების მომზადებაზე. მონიტორინგის ცენტრი კოორდინაციას უწევს ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემას საქართველოში. მისი მანდატი მოიცავს მიზანზე ორიენტირებული კვლევების ჩატარებას, EMCDDA-ის ინდიკატორებისა და სტანდარტების იმპლემენტაციას ნარკოტიკების მონიტორინგის, ეპიდემიოლოგიური და სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის სისტემაში; ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას ნარკოვითარების მონიტორინგის სფეროში. აგრეთვე, ცენტრი პასუხისმგებელია ნარკოვითარებასთან დაკავშირებით ანგარიშების მომზადებაზე, ყოველწლიური ნარკოვითარების ანგარიშის წარმოებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე. ასრულებს EMCDDA-ის რეიტოქსის საკონტაქტო პირის როლსა და ეროვნულ დონეზე ადრეული გაფრთხილების სისტემის მექანიზმის (EWS) პარალელურად ცენტრს ექნება საკონტაქტო ფუნქცია ევროპის დონეზე არსებულ EWS ჯგუფთანაც. რაც მოიაზრებს სისტემის ფარგლებში მონაცემებისა და ინფორმაციის დროულ და მოქნილ გაცვლას. მონიტორინგის ცენტრმა, 2020 წელს, პირველად, მოამზადა ნარკოვითარების 2019 წლის ანგარიში, რომელიც დაფუძნებულია EMCDDA-ის სტანდარტებზე და ფარავს ყველა იმ თემატურ მიმართულებას, რომელიც ნარკოვითარების შესწავლისა და შეფასებისათვის მნიშვნელოვანია (ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, 2021).

მონიტორინგის ცენტრი ექვემდებარება ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს და შედგება მონაცემთა კვლევისა და საკონსულტაციო დანაყოფისგან. მონიტორინგის ცენტრი შედგება მუდმივმოქმედი და მოწვეული წევრებისაგან, მათ შორის სახელმწიფო უწყებებთან წარმომადგენლებისა და პრევენციის, მკურნალობა/რეაბილიტაციის, ზიანის შემცირების, მიწოდების შემცირების, დამოკიდებულებისა და მასთან დაკავშირებული სფეროების ექსპერტისგან.

საერთაშორისო თანამშრომლობა ნარკოვითარების მონიტორინგის მიმართულებით

2015 წლის ნოემბერში იუსტიციის სამინისტრომ ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს EMCDDA-თან, შედეგად კიდევ უფრო გაღრმავდა თანამშრომლობა საქართველოსა და EMCDDA-ის შორის. მხარეთა შორის 2015 წელს გაფორმებული მემორანდუმის განახლების მიზნით, შემუშავდა ახალი სამუშაო შეთანხმება (Working Arrangement), რომელსაც მხარეები უახლოეს მომავალში მოაწერენ ხელს.

ამასთან საქართველო არის EMCDDA-ს მიერ დაფუძნებული რეიტოქსის ქსელის წევრი და შესაბამისად, მონიტორინგის ცენტრი რეიტოქსის საკონტაქტო უწყება. როგორც რეიტოქსის წევრს, საქართველოს შეუძლია რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა EMCDDA-ის აქტივობებში, მათ შორის ხუთი ძირითადი ინდიკატორის შესახებ და ექსპერტთა სხვა სახის შეხვედრებში.

ცენტრის დაფუძნებიდან ორ წელიწადზე ნაკლებ პერიოდში EMCDDA-თან თანამშრომლობით განხორციელდა ნარკოვითარებასთან დაკავშირებული კვლევითი რამდენიმე აქტივობა:

- კოვიდ-19-ის გავლენა ნარკობაზარზე, ნარკოტიკების მოხმარებაზე, ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ზიანსა და საპასუხო ზომებზე. კვლევა 2020 წლის მაისში ჩატარდა

EMCDDA-ის ტენდენციების გამოვლენის მეთოდოლოგიის გამოყენებით¹⁰ (ევროპის ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულების მონიტორინგის ცენტრი, 2020).¹¹

- დაწესებულებების ევროპული კვლევა, რომელიც მოიცავს ნარკომომხარებლებისთვის სპეციფიკური სამკურნალო და ზიანის შემცირების პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მახასიათებლების შესწავლას, როგორც არის სერვისების ტიპი, ბენეფიციარების რაოდენობა, დაფარვის ზონა და სხვა. კვლევა ჩატარდა 2020-2021 წლებში EMCDDA-ის მიერ შემუშავებული დაწესებულებების ევროპული კვლევის კითხვარის (EFSQ) მეთოდოლოგიით.¹²
- ევროპული ვებ გამოკითხვა ნარკოტიკებზე, რომელიც განხორციელდა 2020-2021 წლებში, ონლაინ კითხვარების გამოყენებით.¹³
- დამატებით, დაიგეგმა კვლევის „საკანალიზაციო წყლების ანალიზი“ ჩატარება.

საერთაშორისო თანამშრომლობის კვალდაკვალ აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მაისში, საქართველო გახდა ევროსაბჭოს პომპიდუს ჯგუფის 41-ე წევრი სახელმწიფო, რაც საქართველოსათვის ევროპული სტანდარტების შესაბამისი ნარკოპოლიტიკის იმპლემენტაციის დამატებითი გარანტიაა.

აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო აქტიურად მონაწილეობს გაეროს ორგანოების (UNODC, WHO, შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი, UNDP, UNAIDS და სხვა) აქტივობებში, რომლებიც მხარს უჭერს ნარკოვითარების მონიტორინგსა და ნარკოპოლიტიკის დახვეწას ეროვნულ დონეზე.

ნარკოვითარების თაობაზე ქვეყანაში არსებული და ხელმისაწვდომი საინფორმაციო წყაროები

ქვემოთ მოცემული ცხრილი მიმოიხილავს ქვეყანაში ნარკოტიკების საინფორმაციო სისტემის ფარგლებში არსებულ ძირითად მონაცემთა წყაროებს:

დასახელება	მონაცემთა ტიპი (ძირითადი ინდიკატორის ან ძირითადი მონაცემის თვალსაზრისით)	მეთოდოლოგიური ინფორმაცია	მიმწოდებელი (დაწესებულების დასახელება)	პერიოდულობა
ზოგადი მოსახლეობის კვლევა (GPS)	ნარკოტიკების მოხმარება ზოგად მოსახლეობაში	ჯვარედინ-სექციური კვლევის ფარგლებში 18-64 ასაკობრივი ჯგუფის რეპრეზენტატული შერჩევის შესწავლა. შერჩევის ზომა: დაახლოებით 4 800 ადამიანი. მონაცემთა შეგროვება: პირისპირ (F2F) ინტერვიუები შინამეურნეობებში. შეგროვებული მონაცემები: სტანდარტული პირდაპირი შეკითხვები ნივთიერებების გამოყენებაზე, ასევე რანდომიზებული პასუხის ტექნიკა	დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი „ალტერნატივა ჯორჯია“	ჩატარდა მხოლოდ 2015 წელს

¹⁰ https://www.emcdda.europa.eu/publications/manuals/trendspotter-manual_en

¹¹ https://altgeorgia.ge/media/uploads/covid-cohort-ge_report_final.pdf, https://www.emcdda.europa.eu/publications/ad-hoc-publication/impact-covid-19-east-enp-countries_en,

¹² https://www.emcdda.europa.eu/publications/technical-reports/european-facility-survey-questionnaire-efsq_en

¹³ https://www.emcdda.europa.eu/activities/european-web-survey-on-drugs_en

		(RRT).		
ევროპული ვებ გამოკითხვა ნარკოტიკებზე (EWSD)	ნარკოტიკების მოხმარება ზოგად მოსახლეობაში	ჯვარედინ-სექციური ტიპის ვებ კვლევა. შენარჩევი: თვით-ნომინირებული მომხმარებლები, რომლებმაც უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში მოიხმარეს ნარკოტიკული საშუალებები. შეგროვებული მონაცემები: სტანდარტული პირდაპირი კითხვები ნივთიერებების მოხმარების მახასიათებლების შესახებ.	ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, დამოკიდებულების კვლევით ცენტრი „ალტერნატივა ჯორჯია“, EMCDDA	ჩატარდა პირველად 2021 წელს
ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სასკოლო კვლევა (ESPAD)	ნარკოტიკების მოხმარება ახალგაზრდებში	განმეორებადი ჯვარედინ-სექციური კვლევის ფარგლებში 16 წლის სკოლის მოსწავლეების რეპრეზენტატული შენარჩევის შესწავლა. შერჩევის ზომა: 280 სკოლა, 550 კლასი, 3,100 მოსწავლე, მონაცემთა შეგროვება: სასწავლო კლასებში თვით-ადმინისტრირებადი კითხვარის გამოყენება. შეგროვებული მონაცემები: სტანდარტული კითხვები ნივთიერებების მოხმარების შესახებ.	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (NCDC)	ჩატარდა 2015 და 2019 წლებში სამომავლოდ კვლევის ჩატარება იგეგმება 2024 წელს
ღამის ცხოვრება და ნარკოტიკების მოხმარება თბილისში: თვისებრივი კვლევა ღამის კლუბების რეგულარულ ვიზიტორებს შორის	ნარკოტიკების მოხმარება რეკრეაციულ გარემოში	პირისპირ სტრუქტურული ინტერვიუები ღამის კლუბის რეგულარული ვიზიტორების მცირე ჯგუფთან. შერჩევის ზომა: თბილისი ღამის კლუბების 16 მუდმივი ვიზიტორი. შეგროვებული მონაცემები: ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული ქცევითი მახასიათებლების შესწავლა.	დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი „ალტერნატივა ჯორჯია“	ჩატარდა 2019 წელს
ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლების პოპულაციის ზომის შეფასება	ნარკოტიკების მაღალი რისკის/პრობლემური მოხმარება	შეფასების სხვადასხვა მეთოდები: ქსელის ზომის განსაზღვრის (Network Scale-Up) მეთოდი, მოდიფიცირებული ჩაჭერა-უკუჩაჭერის (Capture-recapture) მეთოდი, და კოფიციენტების ტექნოლოგია.	საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“ და საერთაშორისო ფონდი კურაციო	ჩატარდა 2008, 2009, 2012 და 2014, 2016 წლებში
ქცევაზე ზედამხედველობის კვლევა ბიომარკერის კომპონენტით	ნარკოტიკების მაღალი რისკის/პრობლემური მოხმარებასთან დაკავშირებული	ანონიმური, ინტერვიუერის მიერ მართული ჯვარედინ-სექციური ტიპის ქცევაზე ზედამხედველობის კვლევა ბიომარკერის კომპონენტით.	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;	ორ წელიწადში ერთხელ 2002 წლიდან

	ინფექციური დაავადებები	შერჩევის მეთოდი: რესპონდენტზე ორიენტირებული შერჩევა (RDS). შერჩევის ზომა: დაახლოებით 1,600 ნარკოტიკების ინფექციური მომხმარებელი. 6-7 დიდი ქალაქიდან, ზიანის შემცირების პროგრამების (საველე (აუთორიზ) პროგრამა; თანასწორი-თანასწორს პრინციპზე დაფუძნებული ინტერვენცია - PDI; ნემსებისა და შპრიცების გაცვლის პროგრამა - NSP) ბენეფიციარები შერჩევა. შეგროვებული მონაცემები: ნარკოტიკების მოხმარების გავრცელებისა და მახასიათებლების შეფასება მიმდინარე (უკანასკნელი თვის განმავლობაში) პერიოდში, ამასთან ერთად ტესტირება აივ-ზე, B და C ჰეპატიტსა და სიფილისზე.	საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“ და საერთაშორისო ფონდი კურაციო	საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის“ და საერთაშორისო ფონდი კურაციოს მიერ ბოლოს ჩატარდა 2015 წელს
ზიანის შემცირების პროგრამების ბენეფიციარების ქცევის შეფასების ყოველწლიური კვლევები	ნარკოტიკების მაღალ-რისკის/პრობლემატური მოხმარება	განმეორებადი ჯარედინ-სექციური კვლევა ნარკოტიკების ინფექციურ მომხმარებლებს შორის, რომლებიც სარგებლობენ ზიანის შემცირების პროგრამებით. შერჩევის სტრატეგია: 11 ქალაქში 10 არასამთავრობო ორგანიზაციის ზიანის შემცირების პროგრამების ბენეფიციარებს შორის ხელმისაწვდომი შერჩევა. შერჩევის ზომა: 900-1,500 ნარკოტიკების ინფექციური მომხმარებელი მონაცემთა შეგროვება: სტრუქტურირებული კითხვარი, სტანდარტიზებული რისკის შეფასების ბატარეა. შეგროვებული მონაცემები: ნარკოტიკების მოხმარების მახასიათებლები და სარისკო ქცევები.	ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი	ყოველწლიურად 2008 წლიდან
მკურნალობაზე მოთხოვნის რეესტრი	მკურნალობის მოთხოვნის ინდიკატორი	EMCDDA-ის მკურნალობაზე მოთხოვნის ინდიკატორის სტანდარტის (3.0) შესაბამისად კლიენტების რეგისტრაცია. TDI მოიცავს ისეთ ინფორმაციას, როგორიც არის მკურნალობის მახასიათებლები,	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	მონაცემები გროვდება 2021 წლიდან

		სოციოდემოგრაფიული მონაცემები, ნივთიერებები და მოხმარების ფორმები, სარისკო ქცევები.		
ზიანის შემცირების პროგრამებიდან რუტინულად შეგროვებული მონაცემები	ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინფექციური დაავადებები (ტესტირება) / მკურნალობის უზრუნველყოფა	ზიანის შემცირების პროგრამებიდან შეგროვებული ინფორმაცია ბენეფიციარების მახასიათებლების შესახებ, ასევე, რუტინული სკრინინგი/დიაგნოსტიკური ტესტირება აივ-ზე, B და C ჰეპატიტსა, ტუბერკულოზსა და სიფილისზე.	ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი	ყოველწლიურად
მონაცემები ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარების შედეგად გამოწვეული ზედოზირების შესახებ - სპეციალური რეესტრი	ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილი (სპეციალური რეესტრი)	აუტოფისისა და ტოქსიკოლოგიური ანალიზის მონაცემები გროვდება სასამართლო ექსპერტიზის მედიცინის დეპარტამენტებიდან. მონაცემები არ გროვდება EMCDDA-ის ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილისა და სიკვდილობის ინდიკატორის პროტოკოლის შესაბამისად.	ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიურო	ყოველწლიურად
მონაცემები ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარების შედეგად გამოწვეული ზედოზირების შესახებ - დაბადებისა და გარდაცვალების ელექტრონული სისტემა	ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილობა (გარდაცვალების საერთო რეესტრი)	მოსახლეობის დაბადებისა და გარდაცვალების ყოველწლიური სტატისტიკა. მონაცემების შეგროვება არ ხორციელდება EMCDDA-ის ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილისა და სიკვდილობის პროტოკოლი შესაბამისად.	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	მონაცემები არ შეესაბამება სპეციალური რეესტრის მონაცემებს
ახლად დიაგნოსტირებული აივ-ის და C ჰეპატიტის ინფექციები	ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინფექციური დაავადებები	რუტინული სამეთვალყურეო მონაცემები ახლად დიაგნოსტირებულ ინფექციურ დაავადებებზე.	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ინფექციური პათოლოგიის და შიდსის ცენტრი	ყოველწლიურად
წამალდამოკიდებულების მკურნალობის საერთო მონაცემები	მკურნალობის მოთხოვნის ინდიკატორი / მკურნალობის უზრუნველყოფა	საერთო მონაცემები სამკურნალო ცენტრებიდან ბენეფიციარების და ბენეფიციართა მახასიათებლების შესახებ. EMCDDA-ის მკურნალობაზე მოთხოვნის ინდიკატორის (TDI) პროტოკოლი არ განხორციელებულა.	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	ყოველწლიურად
წამალდამოკიდებულებათა სერვისები ციხეებში	მკურნალობის მოთხოვნის ინდიკატორი /	საერთო მონაცემები ციხეებში ნარკოტიკების	იუსტიციის სამინისტრო / სპეციალური პენიტენციური სამსახური	ყოველწლიურად

	მკურნალობის უზრუნველყოფა	მომხმარებლების მკურნალობის შესახებ.		
დანესებულებათა ევროპული კვლევა	მკურნალობის მოთხოვნის ინდიკატორი / მკურნალობის უზრუნველყოფა	ჯვარედინ-სექციური კვლევა, დანესებულებები ევროპული კვლევის კითხვარის (EFSQ) მეთოდოლოგიის გამოყენებით. ჩატარდა სამკურნალო, სოციალური რეაბილიტაციის ცენტრებსა და ზიანის შემცირების პროგრამებს განმასხვავებელ ორგანიზაციებს შორის. შერჩევა: დანესებულებების სრული შერჩევა (აღწერა) შეგროვებული მონაცემები: ცენტრების მახასიათებლები, პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, სამიზნე ჯგუფები, მიწოდებული სერვისები, ბენეფიციართა რაოდენობა და მახასიათებლები.	ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ECMDDA	პირველად ჩატარდა 2021 წელს
ნარკოტიკებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები	ნარკოდანაშაული	რუტინული სტატისტიკური მონაცემები ადმინისტრაციული საქმეების მსვლელობებიდან სასამართლოსთვის გადაცემულ საქმეებზე და პირებზე და ნარკოტიკების პოლიციის მიერ შემოწმების შედეგები.	შინაგან საქმეთა სამინისტრო	ყოველწლიურად
ნარკოტიკებთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი დანაშაულები	ნარკოდანაშაული	რუტინული სტატისტიკური მონაცემები სისხლის სამართლის საქმეების მსვლელობებიდან სასამართლოსთვის გადაცემულ საქმეებსა და პირებზე.	გენერალური პროკურორატურა	ყოველწლიურად
ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაული	ნარკოდანაშაული	რუტინული სტატისტიკური მონაცემები ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის თაობაზე	უზენაესი სასამართლო	ყოველწლიურად
ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები	ნარკოტიკების ჩამორთმევა	რუტინული სტატისტიკური მონაცემები ნარკოტიკების ამოღების ფაქტების რაოდენობისა და ამოღებული ნარკოტიკების რაოდენობის შესახებ.	შინაგან საქმეთა სამინისტრო	ყოველწლიურად
ნარკოტიკების სინწინდე (ხარისხი)	ნარკოტიკების სინწინდე	ამოღებული ნარკოტიკების სასამართლო ექსპერტიზის რუტინული სტატისტიკური მონაცემები.	შინაგან საქმეთა სამინისტრო	ყოველწლიურად
ნარკოტიკების ფასები	ნარკოტიკების ფასები	რუტინული სტატისტიკური მონაცემები ნარკოტიკების ფასების შესახებ ადმინისტრაციული და	შინაგან საქმეთა სამინისტრო	ყოველწლიურად

ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემის SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები

- 2020 წლის იანვრიდან მონიტორინგის ცენტრს გააჩნია ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემის კოორდინაციის რესურსი;
- ცენტრი დაკომპლექტებულია კომპეტენტური თანამშრომლებით;
- სახელმწიფო მხარს უჭერს მონიტორინგის ცენტრს, როგორც ნარკოვითარების მთავარ მონიტორინგის ორგანოს ქვეყანაში და, ასევე, მხარდაჭერილია საინფორმაციო სისტემა: 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს სპეციალურ თავს ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემის შესახებ;
- არაერთ ქართველ ექსპერტსა და მკვლევარს გამოცდილება აქვს ნარკოვითარების მონიტორინგისა და კვლევების მიმართულებით;
- აკადემიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს გააჩნიათ დამოკიდებულების კვლევის შესაძლებლობები;
- ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი (GHRN) ყოველწლიურად აგროვებს მონაცემებს ნარკოტიკების მაღალი რისკის მოხმარების შესახებ;
- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (NCDC) აგროვებს რუტინულ მონაცემებს წამალდამოკიდებულების სამკურნალო კლინიკების, მათი ბენეფიციარების, (TDI სტანდარტი ხორციელდება 2021 წლიდან) და ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინფექციური დაავადებების (DRID) შესახებ;
- არსებობს მონიტორინგისა და კვლევის არაერთი აქტივობა, რომელიც ორიენტირებულია ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებს შორის ნარკოტიკების მოხმარების მახასიათებლების შესწავლაზე;
- პერიოდულად ხორციელდება კვლევითი აქტივობები, რომლებიც ფოკუსირებულია რეკრეაციულ გარემოში ნარკოტიკების მოხმარების გავრცელების მახასიათებლების შესწავლაზე;
- ESPAD ტარდება შესაბამისი პერიოდულობით (ESPAD კვლევა განხორციელდა უკანასკნელი 2 საერთაშორისო ტალღის ფარგლებში);
- წარსულში მომზადდა არაერთი წლიური ანგარიში ნარკოვითარების შესახებ;
- ნარკოვითარების მონიტორინგისა და ნარკოტიკებთან დაკავშირებული კვლევების შედეგები გამოქვეყნებულია პროფესიულ ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში.

სუსტი მხარეები

- ახლად შექმნილი მონიტორინგის ცენტრის ინსტიტუციის განვითარების საწყისი ეტაპი და გამოცდილების ნაკლებობა. ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემა ჯერ კიდევ არ არის კონსოლიდირებული;
- საინფორმაციო სისტემის ქსელის ფუნქციონირების მექანიზმები ჯერ კიდევ არ არის სრულად განხორციელებული;
- საინფორმაციო სისტემას არ გააჩნია საკმარისი დაფინანსება;
- გარკვეული მონაცემების მასშტაბი, ხარისხი და სანდოობა შეზღუდულია;
- გარკვეული სახელმწიფო დაწესებულებებიდან მიღებული მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ ცენტრის ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე;
- ცალკეულ სახელმწიფო დაწესებულებათა შესაძლებლობები ნარკოტიკების შესახებ მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებით შეზღუდულია;

- გარკვეულ ინდიკატორებზე ინფორმაციის შეგროვება არ ხდება საერთაშორისო (EMCDDA) სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის, ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილი და სიკვდილობის (DRD) და ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინფექციური დაავადებების (DRID) ინდიკატორები ;
- ზოგადი მოსახლეობის კვლევა (GPS), რეპრეზენტატულ შერჩევაში ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებით, ჩატარდა მხოლოდ ერთხელ, 2015 წელს. ამრიგად, მონაცემები ზოგად მოსახლეობაში ნარკოტიკების მოხმარების შესახებ მოძველებულია;
- პრობლემური/მაღალი რისკის ნარკომოხმარების (PDU, HRDU) შეფასება რეგულარულად არ ტარდება;
- ნარკოტიკების ინექციური მოხმარების სავარაუდო გავრცელების საკითხი საეჭვოა ექსპერტებისთვის მეთოდოლოგიური პრობლემების გამო;
- ქცევაზე ზედამხედველობის კვლევა (BBSS) ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებს შორის რეგულარულად, ორ წელიწადში ერთხელ, არ ხორციელდება.

შესაძლებლობები

- ახლად ჩამოყალიბებული ცენტრი;
- ახალი ეროვნული ნარკოსტრატეგია 2021-2025 წლებისათვის;
- ნარკოტიკების ავადმომხმარების პრევენციის ეროვნული სტრატეგია 2021-2026 და 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ნარკოვითარების მონიტორინგის თემატურ ღონისძიებებს;
- საქართველოს ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემის ძლიერი საერთაშორისო მხარდაჭერა (EMCDDA, EU-ACT, სხვები);
- ქვეყანაში ხელმისაწვდომი არაერთი მოტივირებული და კომპეტენტური ეროვნული კვლევითი ინსტიტუტი და ინიციატივა;

გამოწვევები

- ცენტრის შეზღუდული ადამიანური რესურსი კოორდინაცია გაუწიოს ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემას;
- შეზღუდული ფინანსური რესურსი საინფორმაციო სისტემისთვის;
- საინფორმაციო სისტემაში ჩართულ სხვადასხვა დაწესებულებათა ინტერესთა კონფლიქტი;
- ნარკოტიკების მომხმარებლების სტიგმატიზაცია და კრიმინალიზაცია;
- კოვიდ-19 ეპიდემიის გავლენა საინფორმაციო სისტემაში ჩართული დაწესებულებების აქტივობებზე.

NAPDIS პრიორიტეტები

პრიორიტეტები განისაზღვრება შესაძლებლობების მხარდაჭერის, სუსტი მხარეების და გამოწვევების გამოკვეთის მიზნით.

- მონიტორინგის ცენტრისა და საინფორმაციო სისტემის სამუშაოს კოორდინაცია რეგულარულ რეჟიმში;
- საინფორმაციო სისტემის ფარგლებში ყველა დაინტერესებულ მხარესა და პარტნიორს შორის კავშირის გაძლიერება;
- საინფორმაციო სისტემაში ხარვეზების აღმოფხვრა, რათა შეგროვდეს ყოვლისმომცველი ინფორმაცია ნარკოტიკების მოხმარების ფენომენთან დაკავშირებით;

- მონაცემთა შეგროვების სისტემების და კვლევების იმპლემენტაცია EMCDDA-ის სტანდარტებისა და პროტოკოლების შესაბამისად;
- კომუნიკაციის, ანგარიშების ინსტრუმენტებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესება.
- საერთაშორისო პარტნიორ სახელმწიფოებთან და ორგანიზაციებთან ინტენსიური თანამშრომლობის შენარჩუნება ნარკოვიტარების მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის მუდმივ რეჟიმში გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით;

NAPDIS მოსალოდნელი შედეგები

საქართველოში ნარკოვიტარების საინფორმაციო სისტემის ეროვნული სამოქმედო გეგმის დასრულების შემდგომ მიღებული შედეგების საფუძველზე მოსალოდნელია:

- სისტემაში კოორდინაციის, კომუნიკაციისა და კავშირის მექანიზმების ჩამოყალიბება/გაუმჯობესება;
- გაუმჯობესებული და ყოვლისმომცველი სურათის დანახვა ქვეყანაში არსებული ნარკოვიტარების შესახებ;
- მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტებისა და მექანიზმების, გამოკითხვებისა და კვლევების გაუმჯობესება, მონაცემების მზარდი ხელმისაწვდომობა სფეროში არსებულ საკვანძო ინდიკატორებზე;
- საქართველოში არსებული ნარკოვიტარების შესახებ შედეგების გამოქვეყნება, წლიური ანგარიშები ნარკოვიტარების შესახებ და ცალკეული სპეციალური ანგარიშები.

სამოქმედო გეგმა ნარკოვიტარების საინფორმაციო სისტემის უკეთ ფუნქციონირებისა და კოორდინაციისთვის

აქტივობა	პასუხისმგებელი	საბოლოო ვადა
ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ ნარკოვიტარების საინფორმაციო სისტემის 2022-2025 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის (NAPDIS) პრეზენტაცია, განხილვა და დამტკიცება.	ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი.	2022 წლის დასაწყისი
მონიტორინგის ცენტრისა და საინფორმაციო სისტემის ეროვნულ სამოქმედო გეგმის აქტივობებთან დაკავშირებით სახელმწიფო ბიუჯეტის განსაზღვრა.	ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის საბჭოსთან თანამშრომლობით.	2022 წლის დასაწყისი
საინფორმაციო სისტემის 2022-2025 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდგომ, მისი გამოქვეყნება და ყველა დაინტერესებული მხარისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.	ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი.	2022 წლის დასაწყისი
საინფორმაციო სისტემის სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება შესაბამისი თემატური მხარეების ჩართულობით, რომლებიც ნარკოვიტარების კვლევასა და მონიტორინგში მონაწილეობენ.	ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი	2022 წლის დასაწყისი
საინფორმაციო სისტემის ეროვნული სამოქმედო გეგმის აქტივობების შესახებ ანგარიშების საჭიროებისამებრ წარდგენა ანტინარკოტიკული უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსთვის	ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი	საჭიროებისამებრ

საქართველოში ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემის ფარგლებში კვლევის პოტენციური დონორების იდენტიფიცირება.	ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი.	რეგულარულად
ჯანდაცვისა და სხვა პროფესიონალების თემატურად გადამზადება, რომლებიც ჩართული არიან მონაცემთა შეგროვებაში, დამუშავებასა და ანგარიშგებაში	ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი.	რეგულარულად
საინფორმაციო სისტემის 2022-2025 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შეფასება მისი იმპლემენტაციის შემდეგ და ახალი სამოქმედო გეგმის მომზადება.	ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი	2026 წლის იანვარი
ეროვნული კონფერენციის ორგანიზება საინფორმაციო სისტემის შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმისა და სისტემის პროცესებისა და შედეგების გაცნობის მიზნით.	ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი EMCDDA-თან თანამშრომლობით	2026 წლის იანვარი

სამოქმედო გეგმა მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის

ნარკოტიკების მოხმარება ზოგად მოსახლეობაში (ქვე-პოპულაციები, მათ შორის, ახალგაზრდები)

აქტივობა	პასუხისმგებელი	საბოლოო ვადა
კვლევის „ევროპული ვებ გამოკითხვა ნარკოტიკებზე“ საქართველოს მონაცემების დამუშავება.	ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, დამოკიდებულების კვლევითი ცენტრ „ალტერნატივა ჯორჯიასთან“ და „EMCDDA“-თან თანამშრომლობით.	2022 წლის იანვარი.
საქართველოში ყოველწლიურად განხორციელებადი ყოვლისმომცველი სოციოლოგიური/ჯანმრთელობის კვლევების იდენტიფიცირება ნარკოტიკების მოხმარების შესახებ მინიმალური სტანდარტული კითხვების ჩართვის მიზნით.	ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი	2022 წლის ივნისი
ქვეყანაში დაგეგმილი სხვა კვლევების იდენტიფიცირება, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული სპეციფიკური კითხვარის შესატანად	ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი	2022 წლის ივნისი
საქართველოში საკანალიზაციო წყლების ანალიზის მეთოდოლოგიის გამოყენებით კვლევის ჩატარება	ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, EMCDDA-ისთან და ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემის სამუშაო ჯგუფთან თანამშრომლობით	2022 წლის დეკემბერი
ციხის პოპულაციაში ნარკოტიკების მოხმარების თაობაზე (EQDP) EMCDDA-ის ევროპული კითხვარის მეთოდოლოგიის ¹⁴ გამოყენებით პატიმრებს შორის ნარკოტიკების მოხმარების და მკურნალობის ხელმისაწვდომობის კვლევის მიზნით ჯვარედინ-სექციურ კვლევის ჩატარების შესაძლებლობების განხილვა.	ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, EMCDDA-თან და ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემის სამუშაო ჯგუფთან თანამშრომლობით.	2022 წლის დეკემბერი
ღამის კლუბებსა და ფესტივალებზე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების თაობაზე მონიტორინგის სისტემის შექმნა	ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, ქვე-კონტრაქტორ კვლევით ორგანიზაციასთან თანამშრომლობით	2023 წლის დეკემბერი
საქართველოში ნარკოტიკების მოხმარების გავრცელების შესწავლის მიზნით, ზოგადი პოპულაციის კვლევის (GPS) ჩატარება	ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, EMCDDA-თან და ქვე-კონტრაქტორ კვლევით	2023 წლის დეკემბერი

¹⁴ https://www.emcdda.europa.eu/publications/technical-reports/european-questionnaire-drug-use-among-prisoners-eqdp_en

	ორგანიზაციასთან და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით	
საქართველოში ESPAD-ის კვლევის ჩატარება მომდევნო ტალღის დროს	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; EMCDDA-თან თანამშრომლობით	2024 წლის დეკემბერი

ნარკოტიკების მაღალი რისკის მოხმარება

აქტივობა	პასუხისმგებელი	საბოლოო ვადა
ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების/ნარკოტიკების მომხმარებლების პოპულაციის ზომის შეფასების მეთოდოლოგიის გადახედვა	ნარკოვითარების მონიტორინგი ეროვნული ცენტრი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრთან, ქვე-კონტრაქტორ კვლევით ორგანიზაციასთან, ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემის სამუშაო ჯგუფთან და EMCDDA-თან თანამშრომლობით	2022 წლის ივნისი
ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების/ნარკოტიკების მომხმარებლების პოპულაციის ზომის შეფასების კვლევების ჩატარება	ნარკოვითარების მონიტორინგი ეროვნული ცენტრი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრთან, ქვე-კონტრაქტორ კვლევით ორგანიზაციასთან და ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემის სამუშაო ჯგუფთან და EMCDDA-თან თანამშრომლობით	2022 წლის დეკემბერი
საქართველოში ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების/ნარკოტიკების მომხმარებლების პოპულაციის ზომის შეფასების კვლევების განმეორებით ჩატარება	ნარკოვითარების მონიტორინგი ეროვნული ცენტრი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრთან, ქვე-კონტრაქტორ კვლევით ორგანიზაციასთან და ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემის სამუშაო ჯგუფთან და EMCDDA-თან თანამშრომლობით	2024 წელს და შემდგომში ყოველ 2 წელიწადში
ზიანის შემცირების პროგრამების ბენეფიციარებს შორის ნარკოტიკების მაღალი რისკის მოხმარების მახასიათებლების და სარისკო ქცევების შესახებ ყოველწლიური კვლევის ჩატარება	ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი	ყოველწლიურად
ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებს შორის ქცევაზე ზედამხედველობის კვლევის (BBSS) ჩატარება	დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი / მონიტორინგის ცენტრთან თანამშრომლობით	ორ წელიწადში ერთხელ 2022 წლიდან

ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინფექციური და სხვა დაავადებები

აქტივობა	პასუხისმგებელი	საბოლოო ვადა
ნარკოტიკების მომხმარებლებში, მათ შორის ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში აივ-ის, C და B ჰეპატიტის და სიფილისის ახლად დიაგნოსტირებული შემთხვევების შესახებ მონაცემთა შეგროვება და ანალიზი	დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი	ყოველწლიურად
ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებს შორის ქცევაზე ზედამხედველობის კვლევის (BBS) ჩატარება ბიომარკერის კომპონენტით, რომელიც გულისხმობს აივ-ზე, C და B ჰეპატიტსა და სიფილისზე სკრინინგ ტესტირებას	დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი	ორ წელიწადში ერთხელ 2022 წლიდან
ზიანის შემცირების პროგრამების ბენეფიციარებში ჩატარებული აივ-ის, C და B ჰეპატიტის და სიფილისის სკრინინგ ტესტირების ანალიზი	ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი	ყოველწლიურად

სასწრაფო სამედიცინო დახმარების პუნქტებიდან საგანგებო ეპიზოდებისა და ინტოქსიკაციის შესახებ მონაცემების შეგროვების დაწყება	ნარკოვითარების მონიტორინგი ეროვნული ცენტრი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრთან და EMCDDA/Euro-DEN ქსელთან თანამშრომლობით ¹⁵	2023 წლის დეკემბერი
ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებს/ნარკოტიკების მომხმარებლებს შორის თანხმობის ფსიქიატრიული დაავადებების შესახებ კვლევის ჩატარების შესაძლებლობის განსაზღვრა	ნარკოვითარების მონიტორინგი ეროვნული ცენტრი, ქვე-კონტრაქტორ კვლევით ორგანიზაციასთან და ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემის სამუშაო ჯგუფთან თანამშრომლობით	2023 წლის დეკემბერი
ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებს/ნარკოტიკების მომხმარებლებს შორის თანხმობის სომატური დაავადებების შესახებ კვლევის ჩატარების შესაძლებლობის განსაზღვრა	ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, ქვე-კონტრაქტორ კვლევით ორგანიზაციასთან და ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემის სამუშაო ჯგუფთან თანამშრომლობით	2023 წლის დეკემბერი

ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილი და სიკვდილობა

აქტივობა	პასუხისმგებელი	საბოლოო ვადა
სიკვდილობის ზოგადი სტატისტიკიდან ნარკოტიკებთან დაკავშირებული გარდაცვალების ფაქტების შეგროვების მეთოდის გადახედვა	ნარკოვითარების მონიტორინგი ეროვნული ცენტრი, დაავადებათა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრთან, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან თანამშრომლობით	2022 წლის დეკემბერი
სიკვდილობის სპეციალური რეესტრიდან ნარკოტიკებთან დაკავშირებული გარდაცვალების ფაქტების შეგროვების პროცესების და მეთოდის გადახედვა	ნარკოვითარების მონიტორინგი ეროვნული ცენტრი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრთან და სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან თანამშრომლობით	2022 წლის დეკემბერი
მონაცემთა ბაზებთან მიბმული, ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებს/ნარკოტიკების მომხმარებლებს შორის სიკვდილობის კოჰორტული კვლევის ჩატარების შესაძლებლობის განსაზღვრა	ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრთან და ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემის სამუშაო ჯგუფთან თანამშრომლობით	2023 წლის დეკემბერი

მკურნალობაზე მოთხოვნა და სხვა სერვისები ნარკოტიკების მომხმარებლებისთვის

აქტივობა	პასუხისმგებელი	საბოლოო ვადა
მკურნალობის მოთხოვნის რეესტრის დანერგვა ქვეყანაში არსებულ დამოკიდებულების მკურნალობის, ზიანის შემცირებისა და სოციალური ინტეგრაციის - ყველა პროგრამაში	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	რეგულარულად
დანესხეულებათა ევროპული კვლევის (EFSQ) მეთოდოლოგიის გამოყენებით „EMCDDA“-ის მიერ ჩატარებული სამკურნალო დანესხეულების კვლევის მონაცემების ანალიზი	ნარკოვითარების მონიტორინგი ეროვნული ცენტრი EMCDDA-თან თანამშრომლობით	2022 წლის იანვარი

¹⁵ https://www.emcdda.europa.eu/news/2021/euro-den-plus-network-prepares-expand-beyond-eu_en

სამართალდამცავი ორგანოების მონაცემები (ნარკობაზარი, ამოღება, ფასი, ნარკოტიკების სინმინდე, ნარკოდანაშაული)

აქტივობა	პასუხისმგებელი	საბოლოო ვადა
სტატისტიკის წარმოება ნარკოტიკებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის დანაშაულების შესახებ	შინაგან საქმეთა სამინისტრო, გენერალური პროკურატურა, უზენაესი სასამართლო	ყოველწლიურად
სტატისტიკის წარმოება ნარკოტიკების ამოღების, ნარკოტიკების სინმინდისა და ნარკოტიკების ფასების შესახებ	შინაგან საქმეთა სამინისტრო,	ყოველწლიურად
მეორეული ნარკოდანაშაულის სტატისტიკური მტკიცებულების სისტემის დანერგვის განხილვა, როგორცაა ფსიქო-ფარმაკოლოგიური დანაშაული (ჩადენილი ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ) და ეკონომიკურ-კომპლესური დანაშაული (ჩადენილი ნარკოტიკების მოხმარების მიზნით ფულის (ან ნარკოტიკების) მოსაპოვებლად)	ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და ნარკოტიკების საინფორმაციო სისტემის სამუშაო ჯგუფთან თანამშრომლობით	2022 წლის ივნისი
სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირებზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე თავის შესაბამისად	უზენაესი სასამართლო, სპეციალურ პენიტენციური სამსახური	2023 წლის დეკემბერი
სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირებზე, რომლებიც სარგებლობენ ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულების სამკურნალო სერვისებით	სპეციალურ პენიტენციურ სამსახური	2024 წლის დეკემბერი

სხვა კვლევები, საინფორმაციო სისტემები და წყაროები

აქტივობა	პასუხისმგებელი	საბოლოო ვადა
ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ ადრეული გაფრთხილების სისტემის (EWS) ჩამოყალიბება EMCDDA-ის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად	ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და EMCDDA-თან თანამშრომლობით	2022 წლის დეკემბერი
ნარკოტიკების მოხმარების სოციალურ-ეკონომიკური ხარჯების შესახებ კვლევის ((COI) ავადმყოფობის ხარჯის კვლევა) განხორციელების შესაძლებლობის განსაზღვრა	ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, ნარკოვითარების საინფორმაციო სისტემის სამუშაო ჯგუფთან თანამშრომლობით	2023 წლის დეკემბერი
საქართველოში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ახალი შემთხვევებისა (ინციდენტობა) და გავრცელების (პრეველანტობა) შესახებ ინფორმაცია	ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისია / ადრეული გაფრთხილების სისტემის სამუშაო ჯგუფი	რეგულარულად, შემატყობველი ანგარიში ყოველწლიურად

ინფორმაციის გავრცელებისა და ანგარიშგების აქტივობების დაგეგმვა

ინფორმაციის გამოქვეყნება და გავრცელება ინტერნეტში

აქტივობა	პასუხისმგებელი	საბოლოო ვადა
მონიტორინგის ცენტრის საკომუნიკაციო სტრატეგიის დამტკიცება	ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი	2022 წლის დასაწყისი
ცენტრის ვებგვერდის შექმნა და ტექნიკური უზრუნველყოფა ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინფორმაციით, დამოკიდებულების სამკურნალო და ზიანის შემცირების სერვისების საკონტაქტო ინფორმაციით და სხვა. ინფორმაციის მიწოდება ზოგადი მოსახლეობისა და დარგის ექსპერტებისათვის	ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი	2023 წლის დეკემბერი
ცენტრის „Facebook“ გვერდის შექმნა	ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი	2022 წლის დეკემბერი
საქართველოში არსებული ნარკოვითარების შესახებ წლიური ანგარიშების მომზადება და გამოქვეყნება	ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი	ყოველწლიურად